542
1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა

„ბუდეები, ტიტები ქვეყანაზე,
ოფლისგან, იავნანა ძმანია,
და ამაზე, ქართველო, სწორედაა
ხალისანი ეროვნული!“

№ 9 საკავშირო ყველა ფანტალური ლიტერატურის
ბავშვთა ბავშვებისათვის

სექტემბერი
1956

ე. ალექსინი

ნახატები რ. ფუფქირიძისა

პირველი დღე

შურას არ უყვარდა შემოდგომა, იმიტომ რომ ხშირად წვიმდა და დედა გარეთ აღარ უშვებდა ხოლმე.

დღეს დილას ისეთი დიდი წვიმა წამოვიდა, გეგონებოდათ, სახურავზე ჩაქუჩებს უკაკუნებენო, ფანჯრის მინებზეც წყალი წურწურით ჩამოდიოდა. მაგრამ შურა შინ არ დატოვა დედამ, პირიქით, აჩქარებდა კიდეც და შურა დარწმუნდა, რომ ახლა უკვე დიდი ბიჭია. მამაც ხომ ყოველნაირ ამინდში დადის სამსახურში!

დედამ კარადიდან ქოლგა და საწვიმარი გამოიღო. საწვიმარს სულ შარიშური გაუდიოდა. ის თეთრი ხალათის მაგივრად ბევრჯერ ჩაუცვამს შურას დედის უჩუმრად, როცა ბავშვებთან ერთად ექიმობანას თამაშობდა.

— შენ საით?—ჰკითხა შურამ დედას.

— გაგაცილებ.

— მე გამაცილებ? და ისიც ქოლგით? რას ამბობ! სკოლაში ბავშვებმა ხომ მასხარად ამიგდეს.

დედამ ამოიოხრა და ქოლგა და საწვიმარი კარადაში შეინახა.

რა კარგი ყოფილა, წვიმაში სკოლისაკენ რომ მირბიხარ. წიგნებში სწერია, პირველ სექტემბერს მზე კაშკაშებსო, დღეს კი წვიმს, გოგონებს თავზე აწვიმთ და ისინიც კისკისებენ.

უცებ შურამ უკან მიიხედა და ქუჩაში დედა დაინახა. საწვიმარი ბევრს ეცვა, ქოლგაც ბევრს ეჭირა, მაგრამ დედა მაშინვე გამოარჩია. როცა დედამ შეამჩნია, შურამ მოიხედაო, სახლის სვეტს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოეფარა. „პატარასავით მემალება,“ — გაიფიქრა გაბრაზებულმა შურამ და უფრო სწრაფად მოჰკურცხლა, რომ დედა არ დასწეოდა.

სკოლასთან რომ მივიდა, ერთხელ კიდევ მოიხედა, მაგრამ დედა აღარა ჩანდა. „შინ დაბრუნებულა,“ — გულზე მოეშვა ბიჭს.

გოგო-ბიჭები კლასების მიხედვით ეწყობოდნენ. ახალგაზრდა მასწავლებელი შუბლზე ჩამოყრილ დასველებულ თმას მარდად ისწორებდა, ლოყებს ჭრელი ხელსახოცით იწმენდდა და იძახდა:

— პირველი „ა“ კლასი ერთად!

შურაც ხომ პირველ „ა“ კლასში იყო. მასწავლებელმა თავისი პირველკლასელები მეოთხე სართულზე აიყვანა.

შურამ ჯერ კიდევ შინ გადაწყვიტა, მერხზე გოგოსთან არ დავჯდებიო. მაგრამ, როცა მასწავლებელმა მხიარულად ჰკითხა: „შენ, ალბათ, ჩერნოვას გვერდით გინდა დაჯდომა, არა?“ შურას ისე მოეჩვენა, თითქოს აქამდე სულ ამაზე ოცნებობდა.

მასწავლებელი სიის ამოკითხვას შეუდგა. ბავშვები არ იყვნენ მიჩვეულები გვარით გამოძახებას, მაშინვე ვერ პასუხობდნენ **და თანაც დაირცხვინეს.**

— რად მორცხვობთ?—გაუკვირდა მასწავლებელს,—როცა კლასში ერთი ახალი მოსწავლეა, იმას ერიდება ხოლმე. თქვენ კი ყველა ახალი მოსწავლეები ხართ. აბა, ჩქარა გაიცანით ერთმანეთი!

სიის ამოკითხვა რომ დაამთავრა, შურას მოუბრუნდა:

— ორლოვ, გეთაყვა, ფანჯარა მიხუარე, თორემ ჩერნოვას წვიმის შხეფები ხვდება.

შურას გვარი უკვე მეორედ ახსენეს. ის წამოხტა, ფანჯარასთან მიიჭრა. სახელურს რომ მისწვდომოდა, ფეხის წვერებზე შედგა და უცებ ფანჯრიდან დედა დაინახა. დედა ქუჩაში იდგა და სკოლის ფანჯრებისაკენ იყურებოდა. ისე იყო გართული, რომ ქოლგის გახსნა დავიწყებოდა და საწვიმარზე წყალი ნაკადად ჩამოსდიოდა.

დედას, ალბათ, აინტერესებდა, რომელ კლასში იჯდა მისი პატარა ბიჭი.

ახლა კი აღარ გაბრაზებულა შურა. პირიქით, მოუნდა კიდეც ფანჯრიდან თავი გაეყო, დედისათვის ხელი დაექნია და ხმამაღლა დაეძახა: „ნუ ღელავ, დედიკო! ყველაფერი რიგზეა!“.

მაგრამ შურამ ხმა არ ამოიღო, გაკვეთილზე ყვირილი ხომ წესი არ არის!

თარგმანი ც. კახიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა სოფელში

მრ. ცეცხლაძე
ნახატები ჩ. ცუცქირიძისა

დაიეიგლა მამალმა,
მოიხადა ვალი:
„გაიღვიძეთ! ეიეულიეო!
გაახილეთ თვალი!“

აჭიკჭიკდნენ ჩიტები,
ერიამული იწყეს:
— არ შეეფერის მოწაფეს,
გვლავ ლოგინში იწვეს.

ბეჯითი

ო. კუპრავა

მთელი დღე
რეეულს ვუზივარ,
გული არ მიწევს არსად,
სახელის წერა ვისწავლე,
სულ მალე
დავწერ გვარსაც!..

ათი ჩხირი

რამაზისთვის ათი ჩხირი
ბაბუმ სწრაფად გამოთალა,
რამაზმა კი საღამომდე
თვალა,
თვალა,
ვერ დათვალა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ცხვება პური

ლ. ერაძე

ნახატები ბ. როინიშვილისა

ვინც სოფელში ყოფილა, მას ალბათ არა ერთხელ უნახავს, როგორ აცხობენ პურს დიასახლისები თონეში ან კეცებზე. ჯერ ცომს გაამზადებენ, მერე ორი-სამი საათით თბილ ადგილას დადგამენ. ცომი თანდათან გაფუვდება და შემდეგ როგორიც უნდათ, ისეთ პურს გამოაცხობენ.

ასე ცხვება პური სოფლად, მაგრამ როგორ ცხვება იგი დიდ ქალაქებში, სადაც უამრავი ხალხი ცხოვრობს?

აი, თქვენ წინ მაგიდაზე პურია. საიდან გაჩნდა თქვენთან?—მაღაზიიდან. მაღაზიაში საიდან მოვიდა?—პურის ქარხნიდან.

პურის ქარხნები მრავლად არის ჩვენს ქალაქში და დღედადამ მუშაობენ. ხუმრობა საქმე როდია—გამოაცხო პური დიდი ქალაქის მოსახლეობისათვის.

პურის ქარხანაში განსაკუთრებული სინათლე და სისუფთავეა. სარკესავით პრიალებს კედლები და იატაკი, მტვრის ნასახსაც ვერსად ნახავთ. მანქანებთან თეთრხალათიანი ადამიანები დგანან. ქარხნის დასათვალიერებლად მოსული სტუმარიც უსათუოდ თეთრ ხალათში უნდა გამოეწყოს.

პირველად ფქვილის საწყობში შევდივართ. აქ მუდამ აუარებელი ფქვილით სავსე ტომრებია. იცით, როგორ გროვდებიან ისინი საწყობში?



აი, პურის ქარხანაში ფქვილი მოიტანეს, ერთი-ორი ტომარა კი არა, მთელი ვაგონი! თავმოკრული ტომრები წყნარად დგანან და თავიანთ რიგს ელიან. როგორც კი რიგი მოაღწევს, ავტომატურად მოწყობილი მანქანის საშუალებით ტომრები სულ სრიალ-სრიალით ეშვებიან საწყობში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქ მათ ეგებებიან; ჯერ დასასვენებლად დააწყობენ, მერე კი დასვენებულ ტომრებს ბადეგადაფარებულ დიდ ორმოში აპირქვავებენ. ორმოში მოთავსებულია ხვია,—დაგრეხილი რკინა, რომელიც ფქვილს საცრებისაკენ აგზავნის. მაგრამ ფქვილთან ერთად ხომ ზოგჯერ დაუპატიჟებელი სტუმრებიც არიან: კანაფის ნაწყვეტები, ნაფოტის ნამტვრევები, ლითონის ნამცეცები და სხვა. ასეთი „სტუმრების“ გაშვება არ შეიძლება. საცერს ნაპირებზე მიმაგრებული აქვს მაგნიტები. მაგნიტი ფქვილში შერეულ ლითონის ნამცეცებს თავისკენ იზიდავს, ხოლო დანარჩენ ზედმეტ საგნებს საცრის ბადე არ ატარებს. გაცრილი ფქვილი გრძელი ღარით ღრმა ორმოებში ჩადის, რომლებსაც სილოსები ჰქვია. სილოსებს ძაბრისებური ფორმა აქვს.

როგორც კი გაივსება პირველი სილოსი, ღარი მაშინვე გადაიკეტება; ახლა მეორე სილოსისაკენ იგზავნება ფქვილი, მერე—მესამისაკენ და ასე შემდეგ. ორმოებში ერთიმეორის მიყოლებით ეშვებიან ციცხვები და ფქვილს სასწორისაკენ მიაქანებენ. სასწორი იმდენ ფქვილს აწონის, რამდენიც ერთი კასრისათვის არის საჭირო, არც მეტი არც ნაკლები. ამ რკინის კასრს ადგილიდან ძნელად დასძრავთ. მაგრამ მოხერხებულმა ადამიანებმა იგი გორგოლაჭზე შეაყენეს. მერე კასრში საფუარს შეურევენ და მზადდება პირველი ცომი, რომელიც თბილ ოთახში მიემგზავრება დასასვენებლად.

იქ უკვე ბევრი კასრია თავმოყრილი. ყველანი ცალ-ცალკე დგანან. ამ ოთახის გვერდით რომ ჩაიაროთ, ისეთი დუდუნი და ბუტბუტი ისმის, გეგონებათ, ბავშვები შეგროვილან და რაღაცაზე ჩხუბობენო. მაგრამ ბავშვები კი არა, ცომი ბუყბუყებს, ფუვდება, რომ პური ფაფუკი და რბილი გამოვიდეს. სამი საათის შემდეგ ცომი მზადაა და ახალი მგზავრობისათვის ემზადება.

ახლა ის ცომსაზელ მანქანისაკენ მიემართება; ცომს დიდი რკინის თათი ზელს. ასეთი დიდი და ძლიერი მკლავი ადამიანებს არა აქვთ. ფოლადის ხელი დევის მკლავივით ურევს ცომს და კასრიც ტრიალს იწყებს. მისი მეთვალყურე ამ დროს მარილწყალს ასხამს. მერე კიდევ რამდენიმე ხანს თბილ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთახში რჩება. შემდეგ კი ცომი კასრიდან უნდა გადმობრძანდეს. მაგრამ რაკი თავისი ნებით არა სურს ხოლმე თბილი ადგილის დათმობა, ამიტომ კასრი მთლიანად გადმოპირქვავდება.

მოზელილი ცომი ჩადის ვეებერთელა ხვიმირში და იქიდან კი ცომსაჭრელ მანქანაში, სადაც იჭრება და დასაგუნდავებლად სხვა მანქანისაკენ მიეშურება. მანქანა კარგი დიასახლისივით სწრაფად მოამრგვალებს; ბურთებივით მოგუნდავებულ ცომს რონოდებში აწყობენ.

რონოდებიდან ცომი პირდაპირ ღუმელში გადააქვთ.

ღუმელი ორსართულიან სახლს მოგვაგონებს. შიგ ორი გრძელი ლენტია მოთავსებული, რომლებიც აკვანივით ირწევა, ამიტომ ამ ლენტს აკვანს უწოდებენ. რონოდებიდან ცომს ფორმებში ჩასვამენ და აკვანზე დაალაგებენ. აკვანზე ცომი ისევ ფუვდება და დიდდება, რადგან ღუმელში ძალიან დიდი სიცხეა. სულ რამდენიმე წუთში პურიც მზადაა. პურები თვითონ გადმოდიან ხოლმე ფორმებიდან. თუ გადმოსვლა გაუჭირდათ, საჩქაროდ მიეშველებიან.

თქვენ პურის ქერქი უფრო მეტად გიყვართ, რადგან უფრო გემრიელია და თან მუქი, მოწითალო ფერისაა. თუ იცით რატომ? ქერქს მეტი სითბო მოხვდა და შაქარი გამუქდა. რა უნდოდა იქ შაქარს? ნეტავ ვინმეს ხომ არ ჩაუყრია ცომში? არა, შაქარი ცომში სახამებლისაგან მიიღება. სახამებელი კი ყველა ფქვილშია.

დაბრაწულ პურებს საზიდზე დააწყობენ. საზიდი რამდენიმე წიგნის თაროს მოგაგონებთ, ოღონდ ამ თაროებზე წიგნების ნაცვლად პურებია. თაროებზე ახალგამომცხვარი პური გრილდება.

აი, ქარხანასთან ჩამწკრივებულა ავტომანქანები, რომლებსაც დიდი ასოებით აწერია „პური“.

პურით დატვირთული მანქანები მაღაზიებისაკენ მიემართებიან, სადაც პურს ყოველდღე ყიდულობთ.



მესაზღვრე

რ. ჩაჩანიძე

ნახატები გ. თოთიბაძისა

თამაზს ძლიერ უყვარს, როცა ძია ვასიას უსმენს. ისინი იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ მეგობრობას. ბიჭებს რას გამოაპარებ! მათ ზეპირად იციან, ამა და ამ მესაზღვრემ რა გმირობა ჩაიდინა, და ყველა ბიჭს თავისი გმირიც ჰყავს მათში ამორჩეული.

ვასიაც მესაზღვრეა. დღე და ღამეს საზღვარზე ატარებს. მამა ამბობს, მას ჩიტის გაფრენასაც ვერ გამოაპარებო. წარმოიდგინეთ, ვერც თამაზს გამოაპარებს ვინმე რაძეს. დღეს ვინ იყო საზღვარზე და რა შეემთხვა, ეს ყველაზე უწინ თამაზმა იცის.

როცა დასვენების დროს მესაზღვრეები გარმონით გამოჩნდებიან საზღვრისჰირა დაბაში, უნდა ნახოთ მაშინ, ბიჭების მთელი რაზმი როგორ აედევნება არმიელებს და მათთან ერთად იმართება ცეკვა-თამაში.

გარმონის ხმას გაიგონებს თუ არა თამაზი, თავქუდმოგლეჯილი გარბის, დაეწევა მესაზღვრეთა გუნდს და ძია ვასიას გამოარჩევს.

— ძია ვასია!

— ოჰო, მწყურჩიტავ! — შესძახებს ისიც და თამაზს ხელში აიტაცებს.

იმ დღესაც სწორედ კლუბთან ნახა ძია ვასია თამაზმა. აუხირდა:

—გეხვეწები, ერთი ახალი ამბავი გვიამბე, აი, ბიჭები იცდიან, შენ ხომ კარგი ამბების მოყოლა იცი.

ბიჭებმა სწრაფად გააკეთეს წრე მესაზღვრის ირგვლივ.

— აბა, სმენა იყოს და გაგონება, — ღიმილით დაიწყო ძია ვასიამ: — იმ ღამეს დიდხანს თოვდა. დილით საგუშაგოზე რომ გავედი, თოვლში მუხლამდე ვეფლობოდი. ასეთ ამინდში მტერი იშვიათად თუ არღვევს საზღვარს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ,,სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო“, მეც ეფხიზლობდი. როცა საზღვარს დავუახლოვდი, ჩემი ეურადღება დათვის კვალმა მიიპყრო. ის საზღვარს გადაღმა იწყებოდა და ჰირდაჰირ ჩვენკენ მოდიოდა. გამოცდილ მონადირესაც რომ ენახა, ეჭვს ვერ შეიტანდა, რომ კვალი ნამდვილად დათვისა იყო.

მაინც გადავწყვეიტე მომეძებნა საზღვრის დამრღვევი დათუნია. შემოებრუნდი და



ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალს გაეყვეი. დიდსანს ვიარე. უეცრად ღრმა ხევს მივადექი, კვალი ერთბაშად შეწყდა. შევფიქრიანდი, არსად დათვის ჯაჯანება არა ჩანდა. ახლა ზედ ხევის პირას დავდექი და უფსკრულში გადავიხედე. ტოტების ლაწანი მოესმა და, სანამ შემოვბრუნდებოდი, წაქცეულ ხეზე შემომჯდარმა საშინელმა მხეცმა ჩემკენ ისკუპა და დამეჯახა.

ის იყო, ხევში უნდა გადავჩხილიყავი, რომ ბედად მოზრდილ ჩირგვს გამოვედე და ზედ შევრჩი. იმავე დროს ხევის ზემოდან დათვმაც გადმოსწია ვეებერთელა თავი. ალბათ, უნდოდა დარწმუნებულიყო, ნამდვილად მკვდარი ვიყავი თუ არა.

ხელი რევოლვერს წავატანე, სამჯერ ვესროლე. დათვი ადგილს მოწყდა და ქვების გრიალთან ერთად უფსკრულში ჩაიკარგა.

ნელა გამოვძვერი ჩირგვიდან. ფრთხილად დავეშვი. როდესაც წაქცეულ ნადირს მივუახლოვდი, კარგად დავინახე, რომ დათვის ტყავი შუაზე გაფხრეწილიყო და შიგ ვიღაც უცხო კაცი იწვა.

— ჯაშუში იყო? — შეეკითხა თამაზი და უფრო ახლოს მიიწია ძია ვასიასაკენ.

— აბა, სხვა ვინ იქნებოდა! — მიუგო ძია ვასიამ.

გ. კაჭახიძე

ნახატი თ. სამსონაძისა

ზაზას წამოსცდა

— რა ჭამე? რძე დაგიღვრია,
ქადა მთელია, ვხედავ! —
შვილს უთხრა სამუშაოდან
დაბრუნებულმა დედამ.
ზაზა შეჩერდა და ჩუმად
კატას მიაპყრო თვალი.
თქვა: — რაც გაჯავრებს, დედიკო,
არის ფისუნას ბრალი.
წუწკია, სახლში ყველაფერს
მან უნდა გაკრას კბილი,
გამოხტა, ქადა დასუნა,
რძე დამიღვარა თბილი...

— გაჩუმდი! — დედა გაუწყრა, —
როდის არ წუნობ ქადას!
გავიგე, თვითონ დაგისვამს
ღღეს მაგიდაზე კატა.
— ვინ გითხრა?! — ზაზას წამოსცდა,
ბებოს შეხედა უმალ.
— ჩიტმა თქვა, — დედამ მიუგო, —
ის გიყურებდა ჩუმად. —
ზაზა დაფიქრდა, დაეჭვდა,
სარკმელს გახედა დინჯად,
და მართლაც ჩიტი ნაცარა
ტოტზე სარკმელთან იჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ თამაშობს

ო. იოსელიანი

ნახატები მრ. ჩირინაშვილისა

ლიას დიდი, წითელზოლებიანი ბურთი აქვს. ეს ბურთი სტუმარმა დეიდამ მოუტანა. იმ დეიდამ მაშინ კამფეტები და შაქარმოყრილი ნამცხვრების კოლოფიც მისცა.

ლიამ კამფეტებიცა და ნამცხვრებიც ყველას მიართვა. ნახევარი კოლოფი ნამცხვარი კი სკოლიდან დაბრუნებულ ძმას დაახვედრა.

მაგრამ ბურთი ხომ ნამცხვარი ან კამფეტი არ იყო, რომ ნახევარი ძმისთვის დაეთმო! გიგლამ ჯერ ნამცხვარი ჭამა, მერე კამფეტებიც დააყოლა. უცბად ოთახში ბურთით მარტოდმარტო მოთამაშე და რომ შენიშნა, გახარებულმა ჰკითხა:

— ოჰ, ლია! ეს ბურთიც ჩვენ მოგვიტანეს?

— ეს მე მომიტანეს!—თქვა ლიამ და ბურთი ზურგს უკან წაიღო.

— როგორ, მარტო შენ?

— მე, მარტო მე!

— თუ მარტო შენ, აბა, ვნახო, როგორ ითამაშებ მარტო.

— ვითამაშებ!—ჟინიანად თქვა ლიამ და ბურთი ეზოში ჩაიტანა. გაჭკრა ფეხი თუ არა, ბურთი ახტადახტა და კაკლის ძირამდე იგორა. ლიამ ახლა იქიდან გააგდო და ღობემდე შეუსვენებლივ სდია. ღობიდან ბურთი თავდაღმართს დაადგა და ჭიშკრამდე აღარ შეჩერებულა.

ლიამ იმდენი იხტუნა მაშე! — სთხოვა გიგლამ, როცა ლიამ ბურთი იღლიაში ამოიჩარა და ბალახებში ჩაჯდა.

— ეს მე მომიტანეს!—ჯიუტად იმეორებდა ლია.

— დიდი ამბავი, შენ იუ მოგიტანეს!—თქვა მეზობლის ბიჭმა მერაბმა.

— ჰო, მე მომიტანეს!

ლიამ ისევ დაიწყო თამაში. ბურთი შორს რომ გაუგორდა, გიგლამ შეაჩერა.

— მოდი, ლია, შენ რომ არ დაიღალო, ბურთს მე გამოგიგორებ!

— გამომიგორებ და არ ითამაშებ, ხომ?

— არა, აბა საიდან! მე მხოლოდ უკან გამოვაგორებ ხოლმე! ზოგჯერ მერაბიც გამოკრავს ფეხს, იქნებ შოთამაც არ დაიზაროს.

— აბა, კარგი, მხოლოდ არ ითამაშოთ!—ისევ გააფრთხილა ლიამ.

საქმე კარგად წავიდა: გიგლამ უკან გამოაგორა, გზაზე მერაბმა დაუმატა, ბურთი ლიას გასცდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც შოთა დაერიდა ახალი ფეხსაცმელებით გარტყმას და ისევ ლიასაკენ გაგზავნა.

ამის შემდეგ ყოველთვის ასე ხდება: ლიას გამოაქვს ბურთი და ეძახის გიგლას, გიგლა კი მეზობლებს ატყობინებს და დაგორავს ბურთი ხან გიგლას, ხან შოთას და ხანაც მერაბის ფეხებში. მაგრამ ესენი კი არ თამაშობენ, ისევ ლიას უბრუნებენ, თამაშით კი მარტო ლია თამაშობს!

თეთრი მთა

მუსა ჯანგაზიევი
ყირგიზელი პოეტი

საკვირველი ამბავია!
ჩვენში ახლა ძლიერ ცხელა,
ველებზე კი ცარცზე თეთრი
მთა გამოჩნდა ვებერთელა.
არც ბალახი და არც ბუჩქი,
არც კლდე მასზე არსად არი,
არც წყაროა ცივზე-ცივი,
მთის გულიდან გადმომსკდარი.
ზედ არც თრვლის ნასახია,
არც ავაზა დაძრწის მალი,
მაჩვი არ თხრის სოროს არსად,
არც გვაწონებს თავს მაყვალი.
მხოლოდ მთა დგას ცარცზე თეთრი,
უციმციმებს თეთრად კალთა,
მაღლა, მაღლა მიისწრაფვის,
თითქმის ცამდე აღიმართა.
გავეშურე, მოვიტოვე
უკან ყველა თანატოლი,
ვნახე, თვალწინ ბამბის მთა დგას—
სუფთა, წმინდა, როგორც თოვლი.

თარგმნა **რევაზ მარგიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. შანშიაშვილი

ნახატები ჯ. მახარაძისა

ამბავი გიგლა ბიჭისა

ერთხელ დედამ
გიგლას უთხრა:
— შვილო, პირი დაიბანე!
ორიოდე ღერი შეშა,
წადი, ტყიდან მოიტანე! —
წალდი მონახა თავისი...
ტყეში წავიდა ხალისით.
შეკრა შეშების გუდურა,
დაჯდა და დიდხანს უყურა;
მერე ათრია, აგორა,
ფერდობზე ჩამოაგორა...
წამოდგა, თოკით გასწია,
მაღლა ასწია, ასწია,
გუდურა ცოტა დიდია! —
ზურგზე ძლივს წამოიკიდა,
როგორც წესი და რიგია!
მიდის ბიჭი ნელა!
შუადღეა, ცხელა!
დასაჯდომად ნახა
მუხის ფესვი
და იპოვნა ნემსი!
ფიქრობს: იქნებ მარგოს?
ცდილობს არ დაკარგოს.
და ადგილიც გამონახა
ციცქნა ნემსის შესანახად:
ჩადო გუდურაში.
რომ მოვიდა
გიგლა სახლში,
მან კისერი მოიღერა,
დედას ასე წაუმღერა:
— ეეო, მეეო,
დედა მარინეო!

დღეს უთუოდ გაგახარებ,
ნემსი გიპოვნეო! —

ეძება ნემსი, ეძება...
აბა, სად არის, თუ იყო?
მაგრამ ნაპოვნი ვერ ნახა,
გზაშივე დაკარგულიყო.

დედამ ასე დაარიგა:
— არ ჩამაგდო
კვლავ სირცხვილში,
ნემსი უნდა გაგებნია
მაგ ხალათის გულისპირში.

გიგლამ გულში გაიფიქრა:
— მაშ მაცალე,
ასე ვიზამ, დედი, ხვალე! —

გიგლა ჩვენი
ასე სჯიდა,
რომ ხვალაც
ნემსს იპოვნიდა.
იპოვნა კი წალდი!
ჩვენი გიგლა მარდი
ეცა, ხელი სტაცა,
მაღლა აიტაცა.
აქეთ-იქით გაიქნია,
გულისპირში გაიბნია,
სულ დაეხა ხალათი!
ამბობდა: ხომ ვარგა!
გავიბნიე კარგად!
მაგრამ ვერც კი იგრძნო,
ისე დაეკარგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უი, ჩემს თვალებს!—
თქვა დედამ,—
ჭკუა არა გაქვს თავში,
სულელო, სჯობდა,
ის წალდი
შეგეკრა გუდურაში.—
დაიმშვიდა გიგლამ გული:
— მაშ მაცალე!
ასე ვიზამ, დედი, ხვალე.—
მეორე დღეს გიგლა ბიჭმა
დაინახა ლეკვი;
გიგლასაკენ წამოვიდა
კუდის ქნევით, ცეკვით.
გიგლამ ლეკვი დაიჭირა,
გუდურაში მოატანა.
თოკი მაგრად მოუჭირა,
უყვიროდა თანაც, განა!
ლეკვმა მწარედ იწკავწკავა.
ის საბრალო სადღა წავა?
მაგრამ, დახე!
ებრძვის მახეს,
შეტრიალდა, ახტა-დახტა,
გიგლას თავზე გადაახტა.
ისე გარბის, როგორც ქარი,
ბიჭი დარჩა ხახამშრალი.
შინ მივიდა ჩვენი გიგლა...
დედამ ჰკითხა:
— შვილო, რად ხარ
დაქანცული, დაღვრემილი,
ანდა იქნებ გტკივა კბილი?
შენს ლოდინში
მოვკვდი ქალი.
— შევასრულე,
რაც მითხარი,
გუდურაში მოვატანე.
ახტა, თავზე გადამახტა,
ხელი ვეღარ წავატანე.
ეს იქ მოხდა, სადაც წყარო
მოჩხრიალებს ანკარა.
— შვილო, მითხარ,
რა იპოვნე?
— ერთი ლეკვი პატარა!

— ყური დამიგდე
და გეტყვი მართალს,
არ უფიქრდები,
შვილო, ჩემს ნათქვამს,
ლეკვისთვის, შვილო,
შენ უნდა გეთქვა:

„ცუგრი! ცუგრია! წავიდეთ ერთად“.
— ჰო, ვიცი! ვიცი! ხვალ ასე ვიზამ.
და უეჭველად მივაღწევ მიზანს!—
კლდეზე ირემი გადმომდგარიყო,
იქ მონადირე ახლოს არ იყო.
იდგა უშიშრად, რქებამართული,
ლაღი ირემი წელგამართული.
შესძახა გიგლამ:—ცუგრი, ცუგრიო,
ამბობენ, თურმე გიყვარს პურიო.—
ირემი დაფრთხა, შევარდა ტყეში.
პურის ნატეხი ბიჭს შერჩა ხელში!

ჯავრისაგან შინდის ჯოხი
გადატეხა შუაზე;
ნეტავ ჩვენი გიგლა ბიჭი
როდის მოვა ჭკუაზე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათოს ჩაქუჩი

მ. ბოლქვაძე ნახატი თ. სამსონაძისა

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ!—მთელი დღე იძახის დათოს პატარა ჩაქუჩი.

— შენი ჩაქუჩი ძალიან მოუსვენარია, არ იცის, ლურსმანი სად უნდა დააჭედოს და სად არა!—ეუბნება მამიდა დათოს.

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ!—მაინც არ ჩერდება ჩაქუჩი.

დათოს პატარა სკამის ფეხი გაივსო ლურსმნებით.

— არც კარადას, არც მაგიდას, არც სკამებს არ უყვართ ზედმეტი ლურსმანი!—აფრთხილებს მამიდა დათოს.

— კარს, მამიდა?—ეკითხება დათო.

— არც კარს!

მამიდას პატარა ყუთი მოაქვს მეორე ოთახიდან. ყუთი ცოტა დაშლილია. მამიდა ამანათს უგზავნის დათოს მამას შორეულ აღმოსავლეთში.

— მამიდა, მაგ ყუთს თუ უყვარს ლურსმნები? აბა, ვცადოთ!—ეუბნება დათო.

მამიდა ყუთის ფიცრებს იჭერს და კაკ-კუკ, კაკ-კუკ!—გაიძახის ისევ დათოს ჩაქუჩი. იცით, რა სწრაფად და რა სწორად ჩადის ლურსმანი ფიცარში?!

აი, ყუთიც მზადაა.

შიგ ლოყაწითელი ვაშლები ჩასხდნენ გასამგზავრებლად. ერთი ლოყაწითელი ვაშლი კი დათოს ჯიბეში ჩაბრძანდა.

— ეს შენს ჩაქუჩს, რაკი ისწავლა, როდის უნდა იკაკუნოს და ლურსმანი სად დაჭედოს!—ამბობს მამიდა.

—მამიდა, ჩაქუჩმა კარგი საჩუქარი გაუგზავნა მამას და კარგი საჩუქარი მიიღო თვითონაც.—იცინის დათო.

მაიას გამოცანა

გ. ჭეიშვილი

თამრიკომ ვარცლიდან ცომი ამოგლიჯა, მაიასთან მიარბენინა და უთხრა:

— მოდი, მართალი ნაზუქები დავაცხოთ!..

ის იყო საქმეს შეუდგნენ, რომ თავზე ბებია წამოადგათ. მოხუცმა თამრიკო დატუქსა და წყალზე გაგზავნა.

— ბებიკო, როგორ მიხვდი, რომ ცომი თამრიკომ მოიპარა?—ჰკითხა გაკვირვებულმა მაიამ.

— ვერ დაინახე, დამნაშავე როგორ გაწითლდა?—მიუგო ბებიამ.

მაიამ ჯერ თვალები დააჭყიტა, მერე გაეცინა და ახალდაჩეკილი წიწილების სანახავად გასწია. ბუდიდან ამოსხა, ალერსი დაუწყო, გარეთაც გამოიყვანდა, რომ გამწარებულ კრუხს არ მიესწრო. შეიქნა ერთი აურზაური. უცბად მაიას ბებიას ხმა შემოესმა და სასიმინდეში დაიმალა.

— ნუ იმალება, ახლავე გამობრძანდეს, ვინც იყო, თორემ სულ ერთია, გავიგებ და მერე ნახოს!—იმუქრებოდა ბებია.

მაიამ ველარ მოითმინა, ზღურბლზე გადმოდგა და გადმოსძახა:

— არ გაწითლდები, ბებო, და აბა მიხვდი, ვინ იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ნიშნიანიძე

ნახატები ბ. ფოცხიშვილისა

ბაბუა დუროვის

ცხოველებთან

ოსკოვში ერთ-ერთ ქუჩას დუროვის ქუჩა ჰქვია; დუროვის სახელი დიდმა თუ პატარამ კარგად იცის. ვის არ უნახავს მისი გაწვრთნილი ცხოველები ცირკში. ამ ქუჩაზე, ერთ კოხტა ორსართულიან სახლთან, კვირადღეობით დიდძალი ხალხი ტრიალებს, განსაკუთრებით კი ბავშვები. ამ სახლში დუროვის მუზეუმია. აქ ნახავთ მის გაწვრთნილ ცხოველებს, რომლებიც წარმოდგენებში მონაწილეობენ და შესანიშნავი მსახიობები არიან. აქვეა იმ ცხოველების ფიტულებიც, ბაბუა დუროვთან ერთად ცირკში რომ გამოდიოდნენ ხოლმე; დუროვის ხელში ხომ 1500-მა „მოწაფემ“ გაიარა.

შეხეთ მაიმუნ „ლულუს“! იგი მაგიდას უზის და ბანჯგვლიანი თათით ტელეფონს მისწვდომია. ეს ვეებერთელა ორთქლმავალი კი, ვიწრო ლიანდაგზე რომ შეუყენებიათ, ყოფილი პუტილოვის ქარხნის მშრომელებმა ძღვნად მიართვეს დუროვს; მაიმუნები, ზედ რომ სასაცილოდ წამოსკუპულან, მემანქანისა და მისი თანაშემწის მოვალეობას ასრულებდნენ წინათ. ახლა დუროვის ეს ცნობილი რკინიგზაც მუზეუმშია მოთავსებული.

ვიწრო კიბე ქვედა სართულში ჩაგიყვანთ. აქ ძმურად ცხოვრობს დათვი და მგელი, მამალი და მელია, კატა და თაგვი, აფთარი და სპილო, აქლემი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ცხოველი.

დიდი ქვის აუზში ლაღად ნებივრობენ ზღვის ლომები; მთელი ტანით ამოიწევიან, შეეხლებიან ტალღებს და დგაფუნით ჩაეშვებიან წყალში.

აი, დიდი დათვი წინა თათებით ბორბალს ატრიალებს და წყალს ეჭაჩება. იქვე გვერდით ჰიმალაის დათვი „ტაპი“ თავდავიწყებით ცეკვავს, ყირაზე გადადის და მის სანახავად მოსულ პატარებს გულიანად აცინებს. უეცრად არაჩვეულებრივი სიცილი გაისმა, ხვიხვინს უფრო ჰგავდა,—თეთრ და შავ შოტლანდიურ კვიცებს კბილები დაეკრიჭათ და, თითქოს ისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც იცინიანო, გულიანად ფრუტუნებდნენ. დიდი სტუმრიანობა აქვს იმ კუთხეს, სადაც მაიმუნები—მაკაკები, კაპუცინები და ლაპუნდრა ცხოვრობენ. ეს ნაცრისფერი ეშმაკუნები მთელ დღეს დახტიან და ყველას ანცვიფრებენ თავისი ცელქობით. მერე კი რკინის გალიიდან თათს გამოყოფენ და საჩუქარს ითხოვენ.

საუცხოოდ ცეკვავს ტანწერწეტა ლამა.

— ნაუ... ნაუ... ნაუ,—გაისმა უცებ. ყველა იქით შეტრიალდა, საიდანაც ზარის ხმა ისმოდა. „რა მოხდა, ვინ ატეხა ეს განგაში?“ სპილო „პუნჩი“ მსახურებს ეძახის. დღეს მან ათასნაირი ვარჯიში შეასრულა მაყურებლის წინაშე და ახლა სადილს ითხოვს. მერე, რა მადა აქვს, რომ იცოდეთ! ათ ფუთზე მეტ საკვებს გიახლებათ ყოველდღიურად. მარტო 6—7 კილოგრამ კიტრის მწნილს მიირთმევს. თავისუფალ დროს კი მწვრთნელთან ერთად მოსკოვის ქუჩებში დასეირნობს. მოძრაობის წესებსაც საკმაოდ იცნობს, ქუჩიდან ქუჩაზე გადასვლის დროს დინჯად ელოდება შუქნიშანს. ფეხსაც არ დასძრავს, თუ გადასასვლელზე წითელი სინათლე ანთია.

ყველაზე საკვირველი მაინც „კატის სახლია“. ფისუნიას კოხტა სახლი სტუმრებით არის საესე. მერე ვინ არიან ეს სტუმრები? თაგვები! ისინი არხეინად დაკუნცულებენ ვეებერთელა ჭრელი კატის ცხვირწინ და მზესუმზირას აკნატუნებენ. უცებ დაბალი ტანის, ცხვირპირგაბანჯგლულმა შოტლანდიურმა ძაღლმა დინჯად ჩაიარა და გალიასთან მეტად ახლოს მისულ ბავშვებს შეჰყეფა. ეს ამ სახლის კომენდანტი „გება“ ყოფილა,—წესრიგის მოყვარულია და ასეთი თანამდებობაც იმიტომ მოიპოვა. დადის ზევით და ქვევით, თუ რამე შენიშნა, ერთ ამბავს ატეხს, არაფერი გამოეპარება. ერთი მაიმუნი თურმე სულ გალიიდან ძვრებოდა და „გება“ მიუჩინეს დარაჯად. საწყალ მაიმუნს ამის შემდეგ გაქცევა აღარც უცდია, იცოდა, რომ მაინც არაფერი გაუვიდოდა „სასტიკ“ ზედამხედველთან.

მეორე სართულზე პატარა კაჭკაჭი გალიაში დაწრიალებს. უცბად გაჩერდა და წამოიძახა: „ბობას ჭამა უნდა, ბობას ბანაობა უნდა“. ბობა კაჭკაჭს ჭამაცა და ბანაობაც ძალიან უყვარს.

კაჭკაჭის გვერდით შავი ყვავი ცხოვრობს. თუ შეეკითხებით:

— რა გქვია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

6892

თავს გვერდზე გადახრის, თვალს მოკუტავს, ერთ ხანს გიცქერის, მერე ჩაახველებს და გიპასუხებს:

— ვარანოკ!

— როგორ უფრო მოგწონს, რომ დაგიძახოთ?

— ვარანუშა!

შემდეგ კი ცალ ფეხზე შედგება, ცალს ნისკარტთან მიიტანს და ისე, როგორც სოფელში სერიდან სერზე გასძახებენ ხოლმე—კისერს წაიგრძელებს და დასჩხავლებს: „გალია!.. გალია“. აქ ერთ თანამშრომელს გალია ჰქვია და იმას უძახის.

უცბად მელიების წრიპინი გაისმა. მომვლელები სადღაც მიერეკებოდნენ ეშმაკ მელაკუდებს. საით?! სცენისაკენ! ახლა მათი გამოსვლის ჯერია. ამ სახლის მცხოვრებთ ხომ თავისი თეატრი აქვთ, რომელიც მუდამ სავსეა პატარა მაყურებლებით. რა არ ნახეს დღეს მათ: სიმაღლეზე ხტომის ოსტატი ფინიები „როლიკა“ და „პაველიკა“, მათემატიკოსი „ჯეკი“, რომელიც მოსკოველმა მოსწავლემ გამოზარდა; ეშმაკის ფეხი მაიმუნი „ჟაკო“ სადილობისას; მედოლი კურდღელი!

პატარა სახლიდან სცენაზე გამოვიდა ენოტი,— ბაწარი ჩამოქაჩა და განცხადება გაშალა: „გახსნილია სამრეცხაო“. მერე დაკვეთების დავთარი გადაფურცლა, ბოლოს ჭიდან წყალი ამოიღო, ვარცლში თეთრეული და ცხვირსახოცები ჩაყარა, თათებში მოიქცია, წყალში გაავლო, „გარეცხა“ და ჯებირზე გადაკიდა გასაშრობად.

უეცრად მოაჯირზე „პეტია“ მამალი შეფრინდა და ხალხს მიესალმა: ყიყლიყო! „პეტიას“ დაუყოვნებლივ მიართვეს სადილი ხის ჯამით. ჯერ დახედა, წუნია ბავშვივით გადაქექა საჭმელი, ბოლოს თავი ყოყოჩურად ასწია, ულუფას ზურგი შეაქცია და წუწუნს მოჰყვა: „კრრ... კრრ...“ მწვრთნელი მაშინვე მიუხვდა „პეტიას“ გულისნადებს. იგი მაყურებელს მიუბრუნდა და თქვა:

— ხომ გაგიგონიათ: „მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ცოდვაო“. ჰოდა, „პეტიაც“ სტუმარს ელის.

და აი, სტუმარიც გამოჩნდა. სცენაზე მელია შემოვარდა. „პეტიამ“ ამაყად გადახედა მელიას და ორივე მადიანად შეექცა საჭმელს, ძმურად, ერთი ჯამიდან!

ბაბუა დუროვის მუზეუმში ბევრ საკვირველსა და საინტერესოს ნახავს ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ან. კანდელაკისა

მოიპარეკე თოჯინა

ერთხელ დედა შინ არ იყო. ზეინაბს მოსწყინდა თოჯინასთან თამაში, კარადიდან მურაბით სავსე ლამბაქი გადმოიღო და შეექცა.

— ზეინაბ, რამდენჯერ უნდა გითხრა, უჩემოდ ხელი არ ახლო-მეთქი მურაბას! — გაუწყრა შინ დაბრუნებული დედა.

— ვინ გითხრა?

დედამ შეხედა ზეინაბის მურაბით მოთხუპნულ ტუჩებს და უთხრა:

— შენმა თოჯინამ!

საღამოს დედამ თვალი მოჰკრა ცხვირსახოცით პირახვეულ თოჯინას.

— ვინ დასაჯა თოჯინა? — იკითხა დედამ.

— ენაპარტალას ასე მოუხდება! ვნახავ, ახლა როგორ ილაპარაკებს! — ჩაილაპარაკა ზეინაბმა.

ნ. კანდელაკი

ი. სიხარულიძე

ვერ დაიჭერ, ვერა!

შეხეთ, შეხეთ ყურშას,
როგორ დატრიალდა!
ავერ, ეცა სკამს და
გადაკოტრიალდა!

თურმე თავის კუდს სდევს
ყურშა სასაცილო!
— ვერ დაიჭერ, ვერა,
სულ ტყუილად ცდილობ!

ფერადი

გამოცანები

1. ხუთი ხარი ერთი გუთნითა ხნავს.
2. არც ყეფს, არც იძვრის, სახლს კი უდარაჯებს.
3. ყველა კაცი მიწვა-მოწვა, ყერყეტელა ზეზეაო.

მოგებული სიტყვა

(ხალხური)

ერთმა კაცმა მეორეს სიპი ქვა გაუგზავნა და შეუთვალა:

— დიდი ბოდიში, მაგრამ გთხოვ, აქედან ძაფი ამოახვიო!

ამ კაცმა აიღო ის ქვა და დაფიქრდა:

— რა ვქნა, ამ სიპი ქვიდან ძაფი როგორ ამოიხვევა?

ბოლოს ის ქვა უკან დაუბრუნა და შეუთვალა:

— აქედან ბევრნაირი ძაფი ამოიხვევა, რა ფერი ძაფიც გინდა, შენ იმისი წვერი მომიტეე და მე ამოგიხვევ. ასე მოუგო სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარმაცი ფისო

ფისო,
ფისო,
ფისუნა,
თაგვმაც კი
დაგიწუნა,
გაგირბინა
წინა,
გულში
გაიცინა:
რა ზარმაცი
ფისოა,
დღე და ღამე
სძინავს.

ეთ. ბასილაიშვილი

ვეკერი

მარჯვედ ჩამოხტა

— იმ ხეზე სულ მაღლა ასვლა შეგიძლია? — ჰკითხა ვანომ დათოს.

— რატომაც არა, მაგაზე ადვილი რა არის! — მიუგო დათომ და ხეზე აცოცდა.

— დათო! აი, თივა გავშალე, მსხლები აქეთ გადმოყარე, აღარ დაიტეტები! — შესძახა ვანომ.

დათომ ტოტი მარჯვედ მოსწია. ის იყო მსხლებს ხელი წაატანა, რომ ტოტმა ტკაცანი მოიღო და დათო მსხლებით ხელში გაშლილ თივაზე დაენარცხა. ვანომ დაყვირებაც კი ვერ მოასწრო, რომ დათო ყოჩაღად წამოხტა.

— უჰ! როგორ მარჯვედ ჩამოვხტი, კიდევ კარგი არ ჩამოვვარდი! — უთხრა ვანოს და სატირლად გამზადებული სახე მოარიდა.

ს. მაისურაძე

მერია და წერო

მორდვული ზღაპარი

ერთხელ მელიასა და წეროს ჩხუბი მოუვიდათ, არა მე ვარ ჭკვიანი და არა მეო.

— მე სამოცდაჩვიდმეტი ხერხი ვიცი თავის დასაძვრენად. — დაიტრაბახა მელიამ.

— მე კი მხოლოდ ერთი ხერხი ვიცი. — უპასუხა წეროს.

— ცოტაა, ცოტა, ჩემო კარგო. — ჩაიცინა მელიამ.

— არა უშავს, მე ესეც მეყოფა. — მიუგო წეროს.

უცბად მონადირეებმა მათ ალყა შემოარტყეს. მელია სოროში ჩაძვრა, წეროს კი თავი მოიმკვდარუნა. მონადირეები სოროს თხრას შეუდგნენ. წეროს რომ დაინახა, ცუდადაა მელიას საქმეო, წამოიჭრა და, თითქოს ცალი ფრთა ჩამოტეხილი აქვსო, ფარფატით გაფრინდა. მონადირეები წეროს დაედევნენ, მაგრამ რას დაიჭერდნენ! ძაღლებიც თან მიჰყვნენ, ისე რომ მელია სულ გადაავიწყდათ.

მელია ფრთხილად გამოძვრა სოროდან და მოჰკურცხლა. თავს იქებდა მელია, წეროზე ეშმაკი ვარო, მაგრამ წერო რომ არ ყოფილიყო, ხომ დაიღუპებოდა!

თარგმნა ე. სიბაშვილმა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. 81/148

ნახატები ირ. პარლიშვილისა





გამოშერით ასეთი რგოლები, მოათავსეთ ერთი მეორეში, —პატარები დიდ რგოლში—და დაატრიალეთ ისე, რომ დიდი რგოლიდან პატარა რგოლის მიმართულებით წაიკითხოთ თორმეტი სხვადასხვა სიტყვა.

შედგენილი რ. თავდადებულმა

მ. მიქელაძე

გამოცანები

1. თეთრი ჩიტი მოფრინდა
მოელვარე ფრთიანი,
შავი ჩიტი გააგდო
ოქროსთვალებიანი.

(წყალ ლაბა)

2. ულვაშები ასხია—
შენ გგონია, კაცია?
დაფრინავს და ზუზუნებს—
განა თვითმფრინავია?

(ფუტკარი)

რებუსი

ყდის მხატვრობა ეკუთვნის გ. თოთიბაძეს

მაკეტი გ. ფოცხიშვილისა

რედაქტორი ოსეს ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უსიფაშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

ფასი 2 მან.

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 9, сентябрь 1956 г. Тбилиси. Просп. Плеханова 91.

საალიტბაჭდო, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. 91. ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 463 სტამბის შეკვ. № 859|1773
ტირაჟი 15.000. უე 05939 ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII-56 წ. ტაქსტი ანყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“
სტამბაში. ქუინანი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში